ბრძანება:**ბ64.64220532**
თარიღი:**22/02/2022**

**,,ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 თებერვლის N64.64220474 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 თებერვლის N64.64220491 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და ,,ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 თებერვლის N64.64220474 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შევიდეს ცვლილება ,,ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 თებერვლის N64.64220474 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 თებერვლის N64.64220491 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში, დაემატოს სოფელი ბაბოთი და შეხვედრის გრაფიკი დამტკიცდეს თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია ძმები ნინუების ქ. N1).